

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 14 მაისის სხდომის

ოქმი #4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 14 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
3. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების თემები და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ; დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურების დამტკიცების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ. დადგენილების პროექტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. სხდომის თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს წევრებს, რომ დეკანი არჩეული იყო 2020 წლის 1 ივლისამდე ვადით. ამიტომ, ახლანდელი არჩევნების ვადები ამის მიხედვით და არსებული რეგულაციების შესაბამისად შეირჩა. კერძოდ, დეკანის არჩევნები ჩატარდება 2020 წლის 30 ივნისს, ხოლო დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ პირთა განცხადებების მიღება მოხდება 16-22 ივლისს (იხ. დანართი 1). ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №54/2016 დადგენილებით.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ა.გამყრელიძემ იკითხა, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადებში დეკანის არჩევა ვერ მოხერხდა, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილე ერთადერთი კანდიდატი, ან მეორე ტურში დეკანობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს ხელახალ არჩევნებს არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 29, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ფრანგულ-ქართულ საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ შესატანი ცვლილება პუნქტში: „შესაბამისობა პროგრამასთან კომპიუტერული მეცნიერება“ (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ და გ.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 29, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ფრანგულ-ქართულ საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების თემები და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ და აგრეთვე „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვამის დისერტაციის რეცენზენტებსა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურების დამტკიცების შესახებ. ამ საკითხებზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ.

ა) ბატონმა ვაჟამ დასამტკიცებლად გამოიტანა სამაგისტრო თემები შემდეგი სამაგისტრო პროგრამებისა: ბიოფიზიკა, ბიოლოგია, გეოლოგია, ინფორმაციული სისტემები, გეოგრაფია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერება, მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია; ასევე საბაკალავრო თემები შემდეგი საბაკალავრო პროგრამებიდან: ბიოლოგია, ეკოლოგია, ფიზიკა, ელექტრონიკა და მათემატიკა (იხ. დანართები 3.1).

ბ) ბატონმა ვაჟამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ლია მაჭავარიანის წერილი, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოადგინა „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვამის დისერტაციის რეცენზენტებსა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურები (იხ. დანართი 3.2).

აზრი გამოთქვას: ა) პროფესორი მ.ხაჩიძე დაინტერესდა სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის ფორმატით. ბატონმა ვაჟამ უპასუხა, რომ ალბათ მომდევნო სხდომაზე ვიმსჯელებთ ამის შესახებ და დავადგენთ - ონლაინ ჩატარდება დაცვები თუ პირისპირ. ამ პერიოდისთვის ასევე გაირკვევა რა ფორმით ჩატარდება სტუდენტური კონფერენცია ზაფხულში. პროფესორმა ნ.დორეულმა აღნიშნა, რომ მათ დეპარტამენტზე უკვე გაკეთდა მიმოხილვა, თუ რა მდგომარეობაა სამაგისტრო თემების მომზადების მხრივ. ამასთან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია დაცვების გადავადება, თუ არ მოხერხდება ლაბორატორიულ ნაწილზე მუშაობა. მაგრამ თუ ახლავე იქნება ცნობილი, რომ დაცვები

ონლაინ ჩატარდება, მაშინ შესაძლოა განიხილონ ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების საკითხი. ბატონმა რამაზ ხომერიკმა უპასუხა, რომ პრობლემა არ იქნება დაცვების გადავადება, საკმარისია, რომ ამის შესახებ განცხადებით მიმართონ დეკანს.

ბ) აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ბ.თუთბერიძემ, დ.ძიძიგურმა. ვინაიდან „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინურია, ამასთან დოქტორანტის თემიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს კომისიის შემადგენლობაში პროფესორების დამატებისა ბიოლოგიის და გეოლოგიის დეპარტამენტებიდან. პროფესორმა ა.შენგელაიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ კომისიის იმ წევრებს, რომლებიც თსუ აკადემიური პერსონალი არ არიან, ჩამონათვალში მიეწეროს სამუშაო ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ა) საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების საკითხს; ბ) „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვაძის დისერტაციის რეცენზენტებსა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურების დამტკიცების შემდეგი სხდომისთვის გადადების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: ორივე საკითხი ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო თემები (იხ. დანართები 3.1);


ბ) „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვაძის დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურების დამტკიცების საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები.

ა) პროფესორმა გ.სირბილაძემ შეკითხვა დასვა დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატზე. ქალბატონმა თ.ჭელიძემ უპასუხა, რომ ჩვენ ორივე სცენარისთვის უნდა ვიყოთ მზად - ონლაინ და პირისპირ ჩატარება. მაგრამ, თუ პირისპირ ჩატარების ფორმა შეირჩევა, მაშინ საჭირო გახდება უსაფრთხოებისთვის სპეციალური რეგულაციების მიღება.

ბ) მისაღებ გამოცდებზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობის შესახებ და არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა და რ.ხომერიკმა. საკითხის შეჯამებისას დეკანმა აღნიშნა, რომ აუცილებელია შემუშავებულ იქნას მიმართვა ჯერ თსუ აკადემიური საბჭოს სახელზე, რომ მხარდაჭერის შემთხვევაში მიმართვა უნივერსიტეტის სახელით გაიგზავნოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

